კვირა, 16 ოქტომბერი, 1917 წ.

რედაქციის ადრესი: ოფი[illegible]
ლახ ქუჩა, № 6. ტელ[illegible]

ფასი 35 კაპ.

[illegible] №42

1917



ნახატი ნაპეტლიანისა (ფუნ. ,,ზზე ბუხეთის").

ირაკლი წერეთელი

ირაკლი წერეთელი

ვიცი, არ არის ქვეყანაზე ისეთი სიავე, რომ ეშმაკს არ შეეწამოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადამიანთა შორისაც არ იქნება იმ ზომ მიკერძოებული ვინმე, რომელიც მე რომელიმე მოღვაწის ქებას შემომწამებს.

ჩემი აზრით, კარგი კაცი თავის თავად კარგია, იმას ქება აღარ სჭირია; ხოლო რაიცა შეეხება უღირსს, იმისი ქება მე პროგრამის მუხლში გამომრჩენია და ჩასამატებელი ალაგიც არსად დამიტოვებია.

ათიოდ წლის წინეთ

იფიქრებს მკითხველი: შორიდან დაუკავა ეშმაკმა, მოგვქანცავს, როგორც ზოგიერთია ორატორიო. არა, მე ასე შორს იმიტომ გადავხტი, რომ მაშინ პირველათ ვნახე ირაკლი წერეთელი. იმ ხანებში პირველათ იფეთქა მისმა ცხოველმა სიტყვამ და... კიდევაც შეიბორკა... ჩვენდა სასიამოვნოდ მხოლოდ ციმბირის ყინულთა ბორკილებით.

მაშინ მე პატარა ვიყავი, დაახლოვებით ოცდა ათიოდ წლისა, და ჩემი ბავშური ნატვრა აი ეს იყო:—ყოვლად სახიერნო ძალნო ჯოჯოხეთისანო! ჩემთვის არასა გთხოვ, მოასწარ მხოლოდ ის, იმ ბედნიერ დროს, რომ შესძლოს მან უდროოთ შეწყვეტილი სიტყვის გაგრძელება. ვნატრობდი ამას მუდამ და შეიძლება ამ ჩემს ნატვრაში კერძო ჩემი საკუთარი ინტერესებიც ერია.

წლევანდელი ფებერვლის უკანასკნელი დღე, ჩემი ნატვრის უკანასკნელი დღეც- გამოდგა—ის აღსრულდა. გოგიტა ფალავას კლასიკური ტელეგრამა: „Мтавробадзе скончался"-ო გულს ერთობ მძლავრად მოხვდა და ყველაზე უწინ მე კვალად ის კაკი წერეთელი გამახსენდა.

მას შემდეგ

შემდგომად ამ „მთავრობაძის ტრაღიკული განსვენებისა", ირაკლი წერეთელი სწორეთ იქ ამოიმართა, სადაც ყველა მოელოდა მის გამოჩენას და განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა უდიდესი სიძლიერითა და სიმშვენიერით.

ჩემი ნატვრა ამით ასრულდა, მაგრამ მოგხსენებებათ, რომ გული ეშმაკისა ხარბია; არა თუ ეშმაკისა, თვით ადამიანებიც ემორჩილებიან ამ სიხარბის გრძნობათა მიდრეკილებას. ერთი ნატვრა მეორეთი შემეცვალა:—ეს მთავრობაძე ხომ განესვენა და განესვენა; ახლა ურიგო არ იქნება ერთი ამ კაკი წერეთელს აქ სადმე ვნახავდე და მოვუსმენდე მეთქი. ნატვრა ეს არა ჩვეულებრივია, ვინაიდან ჩემზე ვერავინ იტყვის: ეშმაკს სხვისი ლაპარაკის მოსმენა უყვარსო.

ევგენის გამოძახილი.

როცა ღრმა ძილსა და მშვენიერ სიზმარში მყოფი ტელეფონის წკრიალმა გამომაღვიძა, საშინლად ავღელდი. ჩამოვიღე ტელეფონის საყვირ-მილი და ნიშნად აღელვებისა ერთობ ბოხი ხმით ჩავსძახე.

— აბა, დაიწყე, ვინ არის ეგრე ადრე რომ მაწუხებს...

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა საყვირ-მილმა ორი ნოტით დაბლა მიპასუხა და როცა იმ უბოხესსა და უმრისხანეს ხმაში მე ევგენი გეგეჭკორის ძახილი ვიცანი.

— რა გაჯავრებს, ეშმაკო! საჭირო საქმეა. მზათ იყავ ზეგ დილისათვის; ქართველთა სამხედრო გზით კაკი წერეთელს უნდა შევეგებოთ. გამოგვილი.

ბოხი ხმა ბევრი გამიგონია, მაგრამ ასეთი სასიამოვნო თითქმის არასოდეს.

საზიზღარმა ქუთაისის პოგრომმა მომტაცა ევგენი გეგეჭკორის თავი. სწორეთ შესანიშნავი დრო იხელთა ქუთაისის „რევოლიუციონურმა" ჯარმა. თითქო არ შეიძლებოდა ან ცოტა ადრე დაეწიოკებიათ ქალაქი, ან ცოტა გვიან. ჩემის აზრით ეგ სულწასულობაა და „რევოლიუციონურ" ჯარს არ შეეფერება.

წინადადება სხვაც შემოვიდა.

თფილისის მილიციის უფროსს ეშმაკი მუდამ ახსოვს და განა შეიძლებოდა ასეთ დიდებულ მომენტში დაევიწყნა?

ჯერ კიდევ ბნელოდა და ციოდა, როცა ჩვენ თფილისი დავტოვეთ. ლასა მგელაძე აბა რისი ლასა მგელაძეა, თუ გზაში არ აგაჭიკჭიკებს და აღგაფრთოვანებს! სულ რაღაც ნახევარ საათში მოგვატარა

მან მოკლი საპარსული, ციმბირი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები.

შოფერი სერგო თავისი ხელობის კაცია. ზის და მართავს უცხენო ეტლს განსაკუთრებულის სიდინჯითა და მოხდენილობით. თვალი წინ უპირავს, რომ რაიმე საფრთხე გზად არ გადაეყაროს, ხოლო ყური ავტომობილის გუგუნზე აქვს მიპყრობილი. საკმარისია ოდნავ დისონანსი მოხდეს ავტომობილის ჩვეულებრივ გუგუნში, რომ სერგოს მახვილი სმენა მყისვე შენიშნავს მას და გამოცდილ ექმისავით უტყუარად მიაგნებს მტკივან ადგილს.

ფასანაურში.

ფასანაური მშვენიერი სოფელია არაგვის პირად გაშენებული. სამხედრო გზით მოგზაური იძულებულია აქ სადილი სჭამოს; დიახ, იძულებულია და ეს კარგათ ესმის სასტუმროს პატრონსაც.

მოვიდა კომიტეტის ეტლი და ჩამოხტენ „ეშმაკის მათრახის“ ძვირფასი თანამშრომელნი გ. ცინცაძე, ვლ. ჯიბლაძე, გ. მახარაძე და ვ. ჯუღელი.

მოვიდა საფოსტო ეტლი და ჩამოხტა კომისარი შუმულია, ნ. ქარცივაძე; კ. ჯაფარიძე;

მოვიდა „ოზაკომას„ ეტლი და ჩამოხტანენ კიდევ სხვანი წარჩინებულნი.

დასასრულ მოვიდა ირაკლი წერეთლისა და აკაკი ჩხენკელის ეტლი.

აი ირაკლი წერეთელიც. შეხედავ... კაცი, როგორც კაცი. მოდის ნელა, მხრებში ცოტა მოხრილი. მე ავხედ ჩავხედე.

სადილზე არა ჩვეულებრივი არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ სასტუმროს პატრონმა, მელიქოვმა, ერთი კარგა მოძველებული მურწა (იმერულათ წვერა) ორაგულათ გაასალა. ალბათ გულში ფიქრობდა ბ ნი მელიქოვი: — შეხედე ამდენი ჭკვიანი კაცი ერთად ზის და ყველანი მოვატყუეო. მე ვგრძნობდი ამას და ძლიერ მაწუხებდა ეს გარემოება.

თფილისისაკენ.

თფილისისაკენ ჩვენი ეტლი პირკელი წამოვიდა. გზა და გზა უკვე იცოდენ, რომ უნდა გამოევლო კაკი წერეთელს და ხალხი დასახვედრათ ემზადებოდა. ყველაზე მეტი გრძნობა გულწრფელობისა იხატებოდა ერთ პატარა ჯგუფში, რომელიც ანანურსა და დუშეთს შორის გზას აკეთებდა. მათ სადღაც ეშოვნათ წითელი დროშა და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი მყის დაირაზმენ ჩვენი ბვტომობილის მოახლოებაზე.

ხალხი დუშეთის სადგურთანაც ბლომათ იდგა, მაგრამ ჩვენ იქ აღარ შევჩერებულვართ, ვინაიდან ადვილათ დავარწმუნეთ საზოგადოება, რომ არც მე და არც ვანო კაჩუხოვი წერეთელი არ ვიყავით. მცხეთაში მოგროვილ ხალხთანაც ადვილათ შევინარჩუნე ჩემი ვინაობა, მაგრამ თფილისში შემოსვლისას ეს ყოვლად შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან, როგორც სასტუმრო „დარიალის“ დაბლა მდგომ ქართულ პოლკს, აგრეთვე სასტუმროს წინ დაბანაკებულ თფილისის დემოკრატიას ძლიერ ეჩქარებოდა მისი ნახვა. ამ მოუთმენლობისთვის რაიმე წამალი უნდა დაგვედო და დროებით მე ვიკისრე ირაკლი წერეთლის როლი.

ჯარის აღტაცებულ ყიჟინაზე გამოვყავ ჩემი პატიოსანი თავი ავტომობილის ფანჯრიდან და წრფელის გულით მივესალმე აღფრთოვანებულ ხალხს. ამან კიდევ უფრო გააღვივა მათი მგრძნობიარე გული და ოვაციამ გრანდიოზული სახე მიიღო. თუ არ ერთი ნაცნობის მხილება, რომელმაც მრისხანეთ წამოიძახა — ეს ხომ ეშმაკია კაცო! თურმე ამ ოხერის გულისთვისი ვყვიროდიო!“ მე კარგა ხანს ვიკაკიწერეთლებდი. მაგრამ „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ უთქვამს ქართველ ხალხს. მიტინგის დროს გავიგე, რომ გადაწყვეტილი ყოფილიყო კაკი წერეთლის ავტომობილიდან ხელით ჩამოყვანა, ტრიბუნაზე დასმა და მისი სიტყვის მოსმენა. ხელით ჩამოყვანისა და ხელის გულზე ტარების საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ რაიცა შეხება კაკი წერეთლის მაგიერ მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა, მღელვარების გამო იმ დროს არ შემეძლო.

ირაკლი წერეთლის „კუდი“.

თუ არა ვცდები, ძველათ ცნობილი იყო „წერეთლის მწვადი“, დღეს კი ირაკლი წერეთელმა უდიდესი რეკორდი მოიგო. მოგეხსენებათ მთელი თფილისი „კუდებათ“ არის გადაქცეული და არა მგონია ვისმე მათი დანახვა ეუცხოოს. ფურნესთან,

მაღაზიასთან, სადგურთან, კუბოს მაღაზიასთან, მეჩექმის სახელოსნოსთან, კოოპერატიულ სავაჭროსთან, ექიმის კაბინეტთან, აბანოს კარებთან, ყველგან ადამიანთა „კუდებია“ გაბმული. მაგრამ თფილისს ჯერ არ უნახავს იმ ზომის „კუდი“ რომელიც ირაკლი წერეთლის ლექციის ბილეთებს მოება. ამას ხელი შეუწყო არა მარტო ცნობილმა სახელმა ლექტორისამ, არამედ ბილეთის გამყდავთა ორგანიზატორულმა ნიჭმაც.

ირაკლი წერეთელი „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში.

კვირას, საღამოს 10 სათზე, აკაკი ჩხენკელის თანხლებით, ირაკლი წერეთელმა ჩვენი რედაქციაც ინახულა. დიდებული საღამო იყო. შემთხვევით თფილისში იყვნენ თითქმის ყველა ჩვენი საუკეთესო თანამშრომლები: მორიელი, კოღო, ისტორიკოსი, ლარი, ხუნაგი, თედორე მეგრელიშვილი, ლევან ხუნდაძე, გერასიმე ლომჯარია, გერასიმე მახარაძე, მიხეილ ხუნდაძე, სანდრო ქუთათელაძე, ვარლამ რუხაძე და სხვანი.

მისასალმებელი სიტყვა უნდა წარმომეთქვა მე, მაგრამ ვინაიდან მოკლე დრო იყო ჩვენს განკარგულებაში გადავდე მეორეთ მოსელისათვის*). ირაკლი წერეთელმა გულდასმით დაათვალიერა ჩვენი რედაქცის ძვირფასი მხატვრული გალლერეა და ძლიერ უმადური დარჩა, რომ იქ არ აღმონჩდა მისი შარჟი. ეს შენიშვნა ჩვენ ერთობ გვამხნევებს. რედაქციამ მყისვე უმავთულო ტელეგრაფით აცნობა მხატვარს შალიკო ქიქოძეს, ან მიშა ჭიაურელს (თუ ეს უკანასკნელი ცოცხალი გადარჩა ქუთაისის პოგრომს) რომ მყისვე დაამზადონ შარჟი ირაკლი წერეთლისა და წარმოუდგინონ რედაქციას.

მცირე ხნის მეგობრული მუსაიფისა და კამათის შემდეგ კაკი წერეთელი გამეთხოვა ჩვენს თანამშრომლებს და გაემგზავრა იმერეთისაკენ.

კეთილი მგზავრობა და მშვიდობით დაბრუნება.

ეშმაკი.

---

*) ეს დაბარაკია ირაკლი წერეთლის იმერეთიდან დაბრუნებაზე და არა იმ „მეორეთ მოსვლაზე“ რომელიც სადმრთო სჯულში ისწყვლება.

ჰატარა ფელეტონი.

პროგრამა მინიმუმი.

გიმნაზიის სააქტო დარბაზში ასეთი მრავალრიცხოვანი კრება ჯერ არასოდეს არა ყოფილა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჯერ გიმნაზიის ისტორიას არ ახსოვს არც ამგვარი მძიმე საკითხი დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე კრებისა კოსტია ჩუბინჩუკი განსაცვიფრებელის ტაქტითა და მოხერხებით ხელმძღვანელობს ახალთაობის მქუხარე ყრილობას. ის თითქმის ერთხმად იქმნა არჩეული ამ საპატიო თანმდებობაზე, თუ სახეში არ მივიღებთ ორიოდ უპატიო ამხანაგის შავ კენჭს. მაგრამ საჭიროა ითქვას, რომ ეს შავი კენჭებიც უმთავრესად პირადული ანგარიშისაა, რომანიულ ნიადაგზე აღმოცენებული.

მთელი კრება ორ უმთავრეს ბანაკად არის გაყოფილი: მარცხენა ფრთას, დაახლოვებით უფროს მოსამზადებელი განყოფილებიდან, ვიდრე მეხუთე კლასამდე „ბოლშევიკები“ შეადგენენ, ხოლო მარჯვენას, მეუმცირესენი. უმთავრესად მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებიდან. ესერები, დაშნაკცაკანები და ფედერალისტები ერთ ფრაქციათ არიან დარაზმული, მაგრამ მათ თითქმის არავითარი გავლენა არა აქვთ. კადეტების პარტიას აღნიშნულ კრებაზე სრულიად არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი, ვინაიდან კრება მხოლოდ მოწაფეებისაა და ალმზრდელთაგან არავის უშვებენ. პირველ შეხედვისათანავე შეატყობს დაკვირვებული თვალი, რომ ყრილობაზე „ბოლშევიკების“ სრული დიქტატურა არსებობს.

დღიურ წესრიგში შემდეგი ძირითადი კითხვებია დასმული:

1) საგნები გიმნაზიის კურსისა.
2) რიცხვი გაკვეთილებისა.
3) ედინიცა და დვოიკა.
4) პაპიროზი.
5) შპარგალკა.
6) ეკზამენი და პერეეკზამენოვკა.
7) პედაგოგიური საბჭო.
8) პედაგოგთა ვინაობა.

თითოეული კითხვა დღიური წესრიგისა იმდენად

მძიმე და მნიშვნელოვანია, რომ დარბაზში მუდამ განუწყვეტელი და ცხარე კამათი ისმის. ენერგიული თავმჯდომარის მადლიერი უნდა იყოს კრება, რომ საკითხს თავი ებმებოდა მიუხედავად ფრაქციულ სხვა და სხვაობისა და რეზოლიუციებს თითქმის ერთხმათ იღებდენ. რაღა თქმა უნდა გადიოდა მხოლოდ ბოლშევიკების რეზოლიუცია, როგორც ყველაზე უფრო მრავალ რიცხოვანისა და გაბედული ჯგუფის.

საღამოს 6 საათზე კრებას უკვე მიღებული ჰქონდა საერთო რეზოლიუცია წარდგენილი ბოლშევიკ ამხანაგის, მიშა ოკურკოვის მიერ. რეზოლიუცია ესე განზრახულია წარედგინოს სასკოლო „მთავრობას“ და თუ დაკმაყოფილებულ არ იქმნა ყოველი იმისი მუხლი, გიმნაზია აცხადებს საყოველთაო გაფიცვას. აი ის რეზოლიუციაც:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გიმნაზიის დანიშნულებას არ შეადგენს ახალთაობის წვალება, არამედ თავისუფალი აღზრდა მისი, რომ მთელს რუსეთში დამყარებული თავისუფლება, თითქო გიმნაზიის კირებთან გაიყინა და შიგ შემოსვლას ვერა ბედავს ცენზიანი ბურჟუაზიის*) მეოხებით, რომ ასეთ პირობებში ჩვენი დარჩენა ყოვლად შეუძლებელი და მიუტევებელია, გიმნაზიის ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების კრება ადგენს:

ა) მოისპოს ლათინური, სლოვიანური, რუსული და სხვა ენები.

ბ) მოისპოს მათემათიკა, ტრიგონომეტრია, კოსმოგრაფია, ფიზიკა და ქიმია.

გ) მოისპოს ისტორია, გეოგრაფია და ზოგიერთი სხვა ზედმეტი საგნებიც, ხოლო დანარჩენ საგანთა გაკვეთილები შემცირდეს მინიმუმამდე.

დ) სამუდამოთ აიკრძალოს ედინიცის და დვოიკის ხმარება სწავლა აღზრდის საქმეში, ხოლო „ტროიკა“ იხმარებოდეს განსაკუთრებულ იშვიათ შემთხვევებში.

ე) სავალდებულო იყოს ყველა გიმნაზისტისათვის (I—VIII კლასამდე) პაპიროზის წევა, ხოლო პრიგატავიშკებს შეუძლიათ არ აასრულონ ეს დადგენილება.

ვ) მოსწავლეს სრული უფლება ეძლევა, ისარგებლოს შპარგალკით გაკვეთილის მიგების დროს.

ზ) სრულიად მოისპოს, როგორც ეკზამენი, აგრეთვე პერეეკზამენოვკა და მიეცეს მოსწავლეს უფლება გადაიაროს, თუ არ გადაიაროს შემდეგ კლასში.

თ) პედაგოგიურ საბჭოს ირჩევს გიმნაზისტთა კრება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით.

ი) დასასრულ, კრება გამოსთქვამს შეუდრეკელ სურვილს, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში მასწავლებელთა ადგილზე ინიშნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალები.

რეზოლიუცია ესე გადაეცა მერვე კლასის კომისარიატს, რომელმაც განიხილა და შეასწორა ზოგიერთა მუხლები რედაქციის მხრივ. შემდეგ კომი, სარიატმა წარუდგინა ცენზიან ბურჟუათა საბჭოს-სადაც წინაღმდეგ მოლოდინისა ერთხმად მიღებულ იქმნა და გადაეცა საოლქო კომისარს, რომელმაც არ მოიწონა ახალგაზრდობის ასეთი გამოსვლა. ამან საკითხი ერთობ გაამწვავა. გიმნაზია უკვე გაიფიცა.

მორიელი.

*) იგულისხმეთ მასწავლებლები.

შექანჯალებულის ლექსები

(**თანამედროვე ჰანგებზე**).

ჩარი რამა, რამაშა,
სუჯუნა და აბაშა...
ჰა, ცეცხლი და ჰა, მაშა,
გოგო გამეთამაშა!
გამარჯობა ძმაო სტაქო,
ერთი მინდა რომ შეგაქო,
მითხრეს: საცვლები არ „გაქვსო“
გინდა ქვებით ამოგავსო?..
უნდა გითხრა ერთი რამე:
შიშვლად მძინავს მთელი ღამე:
ვსთქვა??. არ არის ხომ სირცხვილი?
საცვლები მაქვს მხოლოდ წყვილი...
რავქნა! მცემე, გინდ მომკალი,
ვერ შევნიშნე მე მიტკალი,
არ მიჯერის ამას ქალი...
დღეს წყალი ვსვი, და ვარ მთვრალი.
საცვლები მსურს შევიძინო,
თბილად დავწვე, დავიძინო,

სუ, კაცო, არ გამაცინო...
აგერ მოდის ჩვენი ნინო!

———

დრანანა... ბუკა... დრანანა... ბუკა...
გურულო, მითხარ რამ „გაგაკუკა“,
სთქვი?—შენმა ცოლმა თმა გაიფუკა?
ახალ მოდაზე თუ „შეიხუკა“,
დღეს დასეირნობს თმებ შეკრეკილი...
თინა, ელენე, პელო და ლილი...
მოდაა, ძმაო. .. ნახე ქალაქი.
დღეს ქალებს კრეკავს გრძელ თმებს დალაქი...
გაგიგონია, შენ ძმაო, პროკლე?—
ქალს თმა გრძელი აქვს, და ჭკუა მოკლე,
იქნება თავი სურთ ისახელონ,
თმა დაიმოკლონ, ჭკვა დაიგრძელონ...
ვოდელია და დელი და დელი,
უნდა ვიარო აწი შიშველი
თავმოტვლეპილი და ფეხშიშველი...
არც ახალი მაქვს და აღარც ძველი,
არც შამოსავალს არსიდან ველი...
გიჟათ ჩამთვალეთ, გსურთ დამიჯერეთ,
გსურთ ჩამამწყვდიეთ, წკნელი მიჭირეთ.
ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა,
როდის მოხვალთ გონს,
შიშვლათ დავრბივარ, არავის მოსწონს,
მოდი თემუკა და დამიჭირე,
თუ მოისპობა მაგით სიძვირე.

———

ჩარი რამა და ჩარი და ჩარი...
მინდა ვიცეკვო... ტაში ჩქარ ჩქარი —
ჩაის სმა მინდა არ მაქვს შაქარი,
მიშოვნეთ პურიც... აბა ქანქარი...
ძნელია თავში თუ გიჭრის ქარი.

———

ერთი, ცხრაი, რვა და ოცი...
ვერვიშოვნე ძროხის ხორცი...
ვერც სამწვადე, დასანაყი...
ვეამოთ აბა აწ ბაყაყი...
ჩემს კუბოზე მსურს ვარაყი...
ერთი ბოთლი შიგ არაყი,
მასთან ერთი ტიკი ღვინო
გვერდში უნდა მომიწვინო
შეკვრა ჩაი, თან შაქარი,
აი „სულის“ საჩუქარი,
ამას თუ იქმთ, გეფიცები,
მე ეხლავე, დღეს მოვკვდები,
ერთს კუბოში გამოვძღები...
“ტალღა“ არის ეს გაზეთი.?
ასე „ბაწა,“ ერთი ლუკმა,
ვინ დაღეტა, ვინ დალუკმა?..
ვინ დაჯდა და ვინ იუქმა?..
მაშ მომყიდე შენ ეს ტალღა!
შიგ ვინა სწერს?—ყვავი, დალღა.
აკაკია ეს—ფადავა?
ესდეკებს რო ჩამოგვჩხავა.—
ვაჯა, ჯიმა, ვავა, ვავა,
შენი არსად თუ არ გავა?..
მოიფხანო უნდა გავა...

———

დელი, დელი, აბა, დელი,
არ გვეპირია წელს გიდელი,
წელს ვინ მოკრეფს ყურძნის მტევნებს,
გიდელს ხეს ვინ ადევნებს,
რომ არ არის ზედ მტევანი,
ველარ შეჭამთ ფელამუშებს..
გაუმარჯოს ყველგან მუშებს...

———

ვარალალი—ვარალალე..
მომე მჭადი ქალო მალე!
აბა, გოგოვ, შენ, მარიკა,
დამიკალი დღეს ვარიკა...
რაო? ჭირმა გაგიწყვიტა?
ოჰ, ღმერთმა კი გამოგწყვიტა.
დაგეხოცა სულ ქათმები?..
შეიკრიჭე აბა თმები,
და იარე შენ მოდაზე,
წამოსკუპდი იქ ოდაზე...

———

დალაქი ვარ; თინა, ქეთო!
გინდათ, თმები შეგიკეთო?
სად ხარ ერთო გრძელო კეტო,
ყბის ძვალი რომ ჩაგიკეტო...
ვოი, ვოიაჰ, ვოიაჰ, ვაააა...
სკან გულ ვაფირ, სკანი ჭირი..
გაჩნდა ძროხის, ქათმის ჭირი,
ვით ვძლიოთ წელს გასაჭირი...
ყველაფერი არის ძვირი
პირს ვაღრენ და მუდამ ვსტირი,

არ მყავს ძროხა, ღორი, ვირი,
ყველაფერი არის ძვირი,
მე შარვალში „ხელუხლები“
გამომიჩდნა თლად მუხლები...
ჩიხტი, კოპი, გომ—საცერი,
თლად გამოძერა წუღებს ფსკერი,
გამოვყავი ფეხის ცერი,.
ჰრი, ბიკო, ჰერი, ჰერი...
ხასანა და ალია,
წელს უნდა ვსვათ წყალია.
თაგვებს მივაქირავე,
ცარიელი ნალია
ჯავრისაგან შევიპრინტე,
მსურს გავყიდო სასიმიდე,
ხომ მიუძღვნეს ძმავ, ალია,
ჩვენს დვდლებს ავტოკეფალია,
სპამონ თევზი კიფალია
და სთალონ მოსათალია
ძმაო, ხასანა, ალია,
ჩვენ გაგვექცევა ქალია,
კაბები თუ ვერ ვუყიდეთ,
აბა, ეს ჩვენი ბრალია?
რავქნა, ჭკუა მაქვს მთვრალია
ვიცეკვოთ ხასან, ალია...

შექანჯალებული.

შარადა

თავ-მრგვალი ჯოხის სახელი
სამი მარცვლისგან შესდგება.
ეს პირველ რიგში დასწერეთ
შარადას გამოადგება.
სიტყვის მეორე მარცვალი
უთუოდ დააკოპლეთა,—
პირველი ასო აართვით
მით სიტყვა შეამოკლეთა.
შემდეგი სიტყვისათვისა
ბავშვობა გაიხსენეთა,
მცირე მარხილის სახელი
დაწერილს მიუწერეთა.
ამ სიტყვის მესამე ასო
სჯობია წაიშალოსა,—
რომ დაწყობილი შარადა
ამით არ ჩაიშალოსა.
მორჩება ჩვენი საშრომი,
სიტყვა გამოვა ახალი,
ახლა რომ ხშირად ახსენებს
მის მცოდნე კაცი და ქალი.
ერთნი რომ სახელმწიფოს ხსნას
მასში ჭხედავენ—აქებენ.
და მეორენი უარით
ჭვმობენ და ასამარებენ.

ჩრჩილი.

ბეკოს აზრი

«პრედპარლამენტის» შესახებ

რუსეთის დემოკრატია მთავრობას მთავრობაზედა სცვლის, ღელავს, ტოკავს, მძვინვარებს. თათბირი თათბირს მისდევს, კამათი კამათს, პოგრომი პოგრომს. რყევაა უზომო; იმედი ეიმედობას ებრძვის, ბურჟუა პროლეტარს, სალდათი ოფიცერს, მოქალაქე ვაჭარს, გერმანია რუსეთს.

უკანასკნელმა დემოკრატიულმა თათბირმა დააარსა ეგრეთ წოდებული „პრედპარლამენტი“, ჩვენს ძვირფას თანამშრომელს ბეკოსა სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი ამ ახალი დაწესებულების შესახებ და მან განაცხადა:

— ქართველებში არსებობს ამგვარი თქმულება: მეცხვარეს მშვენიერი ზამთარი ჰქონდა. მარტის დამლევამდე თითქმის ერთი სული ცხვარი არ დაჰკლებია. ამით წათამამებულმა მეცხვარემ დაიტრაბახა:—ერთი შემომხედეთ, ზამთარი ისე გავატარე, რომ ერთი ბატკანი არ დამიკარგავსო. ეს გაიგონა მარტმა. გაიქცა აპრილთან და დიდის ხვეწნით სამიოდ დღე გადმოისესხა. მეცხვარე ნეტარებაში იყო, როცა საშინელი ქარბუქი, თოვლ-წყალი და სიცივე დაიჭირა. ცხვრის ფარას სასტიკი კრიზისი დაუდგა. ყოფნა არ ყოფნა მომენტის კითხვაც გადაიქცა. ასე იძია შური მარტმა.

მაგრამ არც მეცხვარე დარჩა ხელცარიელი. იშოვა ხმელი ქეჩხო, ჩასვა შიგ ფაფა და ჩამოუკიდა ცხვრებს ჭერში. კატამ ქეჩხოში თავგანწირული ფხაკური დაიწყო და ცხვრების ყურადღება თავისკენ მიიზიდა. სამი დღის განმავლობაში შეჰყურებდენ შეშინებული ცხვრები ჭერში გამოკიდულ ქეჩხოს და ვერ გაეგოთ რა ღვთის რისხვა მოეყლინა განგებას მათთვის“. სამი დღის შემდეგ მარტს გაუთავდა აპრილისაგან ნასესხები დღეები და მშვენიერი ამინდი დაიჭირა. მეცხვარემაც ქეჩხო ჩამოხსნა და ცხვრები საბალახოთ გამორეკა.

— აი, ამხანაგებო, სთქვა ბეკომ, ეს ჩვენი „პრედპარლამენტი“ არის სწორეთ ის მეცხვარის ქეჩხო. მთელი რუსეთის დემოკრატია მას შესცქერის, რათა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გული გადააყოლოს.

დავშთები სრულის პატივისცემით მეგობარი მისი

ქაჩიჩ.

სალდაბი

ეს იცავს სამშობლოს.

ეს იცავს კერძო საკუთრებას.

ეს ვაჭრობს.

კონტრიბუცია.

ჰე, მახსოვს დროება როს ხუთი შაურით,
ვძღებოდი, ვთვრებოდი, და აურ ზაურით,—
ქუდს მაღლა ვისროდი, ვცხოვრობდი ლაღათა;
ცა ქუდათ მიმანჩდა, ქვეყანა წაღათა...
გულშიგან ყვაოდა, ია და ვარდები;
არა მახსოვს რაიფო, სევდა და დარდები.
ბედნიერს მეძახდენ, მანათის მქონესა;
ვიყავი მოსული, ჯანსა და ღონესა...
მაგრამ ჰე,—მომადგა დროება ცუდია;
მოიხადა ვაჟ ცსა, ნაქები ქუდია.
ძვირდება დღითი დღე, ძვირდება ყოველი; —
მუშაობს ქარხანა, ფულების მთოველი.
მაგრამ რა, სურსათსა და ნაწარმოებსა
ბევრიც რომ ეძიონ ვერავინ ჰპოვებსა...
თუ წონა ქაღალდის ფულები არ მისცა...
(ვაიმე დამექცა სახლიც და კარიცა.)

—

შევედი ვაჭართან, მინდოდა ფართალი:
(პერანგი დამიგლეჯა უნდა ვთქვა მართალი...)
მაგრამ ძმავ მისთანა მტერს თქვენსას ქონდესა;
რამდენი წაიღო, მომართვა ოდესა.
არშინი მიტკალი, ხუთიოდ მანათი:
წაიღო უღმერთოდ, წაიღო ძალათი...

ესეც ნალდათი

ესეც იცავს.



ესეც რაღა.

ესეც ხომ ვაჭრობს.

მამადლის თან, თითქოს პატივი უცია;
თუმც ჩემგნით აიღო, მან კონტრიბუცია...

—

დამეხა წაღები, აღარ მაქვს „პადოში“;
(ბევრიც რომ ეძიოთ ვერ პოვოთ ამ დროში)
მივედი ხარაზთან, უთხარი: ნათლია!
წაღები არა მაქვს, მომყიდე, მადლია.
მან მომცა (ნუ მკითხავთ რა ფასათ როგორი!?
ვერ ჭამოს იმ ფულით ნამცხვარი კოკორი.)
ოთხ თუმნათ მომყიდა, ორ მანათიანი;
ხათრითო ფიცულობს, ვით კაცი ღვთიანი.
მამადლის, თითქოსა, პატივი უცია;—
თუმც ჩემგნით აიღო მან კონტრიბუცია...

—

მომშივდა, შევედი დუქანში სადილათ;—
პური და ლობიო მივირთვი ადვილათ.
ადგები ტყავს მაძრობს, მედუქნე წყეული;
ჩემ ჯიბის ფულზედა მრავალჯელ ჩვეული.
ხუთმანათს აიღებს, ლაქუცით, სიცილით;
(ხელობა იმათი უთუოდ თქვენც იცით.)
და მიშობს თითქოსაც, პატივი უცია:—
თუმც ჩემგან აიღო, მან კონტრიბუცია...

—

გავედი ბაზარში, მინდოდა ხილია;
(თქვენც იცით ხანდახან, დესერტათ ტკბილია.)
მინდოდა ატამი, ვაშლი და კომშია;
მაგრამ ჰე რასფასობს!? წამიხდა ხოშია...

ქალალდის მანათებს, მართმევენ ჩეჩქივით:
და გული ჯავრისგან, ხურდება „ფეჩიკვით“...
ის მიშობს, თითქოსაც პატივი უცია;—
როს ჩემგნით აიღო, მან კონტრიბუცია

—

მივედი სავლესთან, მინდოდა მაწონი;
(ქილითა მომართვა, არუნდა საწონი...)
ვერ ვიყავ ქეიფზე, და კარგსა დონესა;
ვიფიქრე უხდება ჯანსა და ღონესა...
—„მომართვი სავლეჯან! მაიტა მაწონი...“
ვჭამე და ო ღმერთო,—ეიღო რამდონი...
გუშინ რომ ამართვა, ორ იმდენს იღებს დღეს.
და მიფალარათებს ჯიბისა სიმდიდრეს...
მამადლის თან, თითქოს პატივი უცია;—
თუმც ჩემგნით აიღო, მან კონტრიბუცია...

—

ვისთანაც მივედი, რაიმეს სასყიდლათ,
გამძარცვა ფულიდან, გამძარცვა იმან მთლათ.
ყოველ დღე ჯიბეზე, აქვთ კონტრიბუცია:—
აღარ მაქვს შიგ გროში, ვარ განაქუცია...

როძოკო.

რუსული და ქართული

I

რუსულ „საქართველოს“ (Закавк. Рѣчь) მოჰყავს რუსულ გაზეთიდან შემდეგი ამონაწერი ირაკლი წერეთლის შესახებ:

„მადალი წვრილი ახოვნება წერეთლისა ოდესვ დონ-კიხოტს მოგაგონებს. მოგრძო თავი ამგვარსვე მოგრძო კისერზე მტირედ წახრილია წინ. სახეც ტოტა მოგრძო აქვს, კეთილშობილური და სწორი, მოხრილი ტხვირითა და ვარდისფერი ბაგეებით, რომელთაგან მოჭვრთიან თეთრი კბილები. დიდრონი შავ-შავი მწუხარე თვალები და დიდებული სპეტაკი ლია შუბლი ამკობენ ამ სახეს განსაკუთრებულის მიმზიდველობით.

პირველად მრისხანე და თითქოს მოუსეშავი, წერეთელი მალე იპერობს მსმენელთა ყურადღებას. სიტყვა მისი წარმოდგენს მშვენიერს, ფაქიზ ნაწარმოებს ახრისა და გრძნობისას. ის თითქოთქვენ თვალთა წინაშე სწვდს თავის სიტყვებს.

ჭკვეთავს რა ტაქტს მძლავრად შეკუმშული მუშტით, მისი ადგრთოვნება სწრაფად იზრდება და მალე თქვენ ხედავთ წერეთელს მოელვარე სიტყვათა სხივების შარავანდედით გარემოტულს.

ის სწვდს სიტყვებს და ამიტომაც ყოველი ახრი მისი განსხვავდება სიმტკიცით, ხოლო მთელი სიტყვა ელვარებს ლოდიკური სიმშვენიერით.

ლოდიკა, გულწრფელობა და ღრმა შინაგანი რწმენა, აი ის მსალა, რომლისგანაც გამოკვეთილია მშვენიერი სიტყვები წერეთლისა.

ის სწვდავს ახრს ახრზე. ძლიერი ჩაქუჩის მოქნევით ის სპობს მოწინააღმდეგეს და კვლავ განაგრძობს თავისს ლოდიკურ საქმეს.

ის ერთად ერთი ორატორია, რომლის სიტყვები არა მარტო აღელვებენ მსმენელს, არამედ არწმუნებენ კიდევაც და აიძულებენ დაფიქრდეს. ეს იმიტომ, რომ ყველაფერს, რასაც ის ამბობს, ამბობს ჭეშმარიტების განსაუქებლათ. ამას ყველა ხედავს და ყველა გრძნობს. და სწორეთ აი ეს გარემოება ხდის წერეთლის სახელს კეთილშობილური თანგრძნობით გაბრწყინვებულს.

II

ქართული „ზაკავკაზსკაია რეჩი“ („საქართველო“) რასაკვირველია საკუთარი ჭკუით იარება და ვინაიდან საკუთარებაც არის და საკუთრებაც ამტომ სწერს:

უნდა გამოგტეედ: პირადათ მე მისი ორატორული ჯადოსნობა მაინტერესებდა და ყურადღებაც პირველადვე მას მივაქციე. რამოდენიმე ფრაზა— და მის მეტყველებითს ჯადოსნობაში, სამწუხაროდ, ჭრელი იწყი შემეპარა. ნურავინ დამწამეს სუბიექტიურ დაბრკოლებას: — შესაძლოა რომელიმე პარტიის იდეოლოგიას არ ვიზიარებდე, მაგრამ იმდენი ობიექტიობა კი შემწევს, ნაკლის ადნიშნა არ გადავაჭარბო.

„მელას რაც აგნდებოდა, ის ესიზრმებოდაო- ამბობს ქართული ანდაზა და თუ მასზე არ ფიქრობდა რისთვის დასჭირდა ბ-ნ გივი გოლლენდს ამ **ნაკლზე** სიტყვის ჩამოგდება. მას რომ არ ეთქვა არავინაც ამას არ იფიქრებდა. იტყოდენ მხოლოდ: „რა ვუყოთ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ ახლა კი...

მომისმენია ჟორესი, ბებელი, ლედებური, რო-

დიჩევი, მაკლაკოვი და მრავალი სხვა.*) აქ ჩამოთვლილი სახელები ორატორობით ძალზე განირჩევიან,—ისიც ცხადია, რომ რომელიმე ტროცკი ამ მხრით ყორესს ვერ შეედრება,—მაგრამ ის კი უტყუარია, რომ ყველა ეს სახელები, თუმცა სხვა და სხვა ზომის, მარა მაინც ნამდვილს მეტყველების ნიჭს ატარებენ.

ცხადია „ზაკავკაზსკაია რეჩის“ მწერალს არც როდიჩევი, არც მაკლაკოვი, არც ბუნაკოვი, არც ლენინი და არც ტროცკი არ მოუსმენია, თორემ არ იტყოდა: „ის (წერეთელი) ერთად ერთი ორატორია, რომლის სიტყვები არა მარტო აღელვებენ მსმენელთ არამედ და სხვ.

ორაკელი წერეთელი საშუალო ორატორზე ნაკლები აღმოჩნდა: ზემოჩამოთვლილებს იგი სრულიად ვერ შეედრება. მისი ხმა, როგორც მეტყველების მასალა, მხოლოდ ოდენი სიმაგრით თუ გამოდგება. რაც შეეხება მის მუსიკალობას, აქ იგი მეტად არა სისიამოვნო სასმენია.

ცხადია ბ-ნი გივი ყურებში თით გარეკობილი იყო, რათა სათუთი სმენა არ დაზიანებოდა. ეს აშკარათ ეტყობა მის წერილსაც.

რაც შეეხება თვითონ ფრაზის წყობას, ბერიოდების შენებას, აქ წერეთელი პირდაპირ უმწეოა: ერთი სათის განმავლობაში ერთი მოხდენილად მოკვეთილი ფრაზა არა მსმენია: ფრაზა ფრაზას ისე მისდევს, როგორც გაზეთის დაგროვილი შაბლონები...

ქართველების საქმეს საშველი აღარ ჰქონია. ეს ერთი კარგი ორატორი გვყავდა გვეგონა და ბატონი გოლლენდის სიტყვით გროში ყოფილა მისი ფასი. იძულებით თითონ ბ-ნ გოლლენდს მივაპყარ თვალები, იქნებ ამან გვასახელოს ქართველები მეთქი, მაგრამ, ის უცხოელი აღმოჩნდა.

ამგვარათ ქართველ ნაციონალ დემოკრატებს ორი თვალი აქვთ: რუსული და ქართული; ანუ საშინაო და საგარეო. საშინაო საქმეებში ქართულია ბრუტიანი, ხოლო საგარეოში კი რუსული.

ოჰ კაცუნებო, კაცუნებო! რისთვის მოგწონთ თქვენ მხოლოდ სარკის წინ შესწავლილი ხელის პარეყვა და სცენაზე ცუნცრუკი ორატორისა და არა გულისხმადჰყოფთ ნიჭსა ბუნებრივსა.

თანდილა.

---

*) მიკვირს, დემოსფენი რატომ არ ახსენა პატივცემულმა გივამ. ეეკვობ მისთვისაც არ მოესმინოს. რაიგა შეეხება რეზო გაბაშვილს და დ. კასრაძეს და კრიტიკულ რობაქიძეს ისინი ადგილ სიამორცხვით გამოსტოვა.

თათგირი

(ასტრონომიული ფელეტონი)

როგორც მოსალოდნელი იყო, კუდიანმა ვარსკლავმა ჰალლეამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ციაგთა კავშირს.

— ამხანაგებო!—დაიწყო მან.—ამ შვიდიოდ წლის წინათ ჩამოვიარე ჩვენი კავშირის რაიონი. სიმართლე უნდა მოგახსენოთ ყველგან, ძველებური სიმშვიდე და დარბაისლობა სუფევს გარდა მხოლოდ დედა-მიწისა. აშკარათ სჩანს, რომ ის რაღაც მეტიჩრობს, უკეთ ვსთქვათ მატრაკვეცობს. დანარჩენ ამხანაგებს ამხანაგებათაც არა სთვლის. ასე ჰქონია ყველანი მისდა სამსახურად არიან გაჩენილნი.

ვგონებ აპრილი იყო, როდესაც ის ჩემს კუდში გაძვრა და თვალი ავავ-ჩავავლე. ცხადია იქ ახირებული ამბები ხდება. მის, აქა-იქ გამხმარ ზურგზე გაჩენილა აუარებელი ჯიშისა და კონსტრუქციის პარაზიტი. ზოგი დახოხავს, ზოგი დახტის, ზოგი დაფრინავს, და ხოლო საერთოდ ყველა სწიწკნის და სწოვს იმის გულს.

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და თანაც თვალსაჩინო პარაზიტები თავიანთ თავს ადამიანებს ეძახიან. შეხედულობით ისინი პირდაპირ სასაცილო რამეს წარმოადგენენ. ზეოთა ნაწილი მათი ორგანიზმისა პაწაწინა, ბურთის მაგვარი ძვლისაგან შესდგება, რომელსაც თუ არა ვსცდები „თავს“ ეძახიან. ერთმანეთს ეს მიკრობები სწორეთ ამ პატარა ბურთის მეოხებით სცნობენ.

შუა ნაწილი ორგანიზმისა ცოტა უფრო მოგრძო და თანაც მომსხოა „თავზე“. ამ ნაწილს ვგონებ ტანი ჰქვია და სავსეა ათასგვარი სიბინძურით. ტანს ზემოდანაც და ქვემოდანაც თითო წყვილი მოძრავი თრგანო აბია. ქვედა მათგანზე ეს მიკრობი სდგას, ხოლო ზედა წყვილით ბუზებსა და სხვა მწერებს იჭერს.

მიკრობები იყოფებიან სხვა და სხვა ტომებათ, ერებათ და ჯგუფებათ და ერთმანეთში მუდმივი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული. ამ ჩხუბისა და თავდასხმის დროს ისინი თითქო რაღაც გეგმითა და მოსაზრებით მოქმედობენ. მარეხელების აზრით ისინი შეიძლება კონიერი არსებანიც იყვენ,

თუმცა მათ მოქმედებაში თითქმის არავითარი გონიერება არ მოსჩანს.

უდიდესი ხმელეთის დაბლა კუნჭულში ყველაზე უფრო მოუსვენარი და მეტიჩარა პარაზიტები ცხოვრობენ. ისინი თავის თავს „კაცობრიობას“ ეძახიან და ჭგონიათ, რომ ჩვენს კავშირში მათზე უკეთესი აღარავინ არის. მთელი ჩემი მგზავრობის დროს არსად არ შემხვედრია ასეთი უგუნური პარაზიტი და მასთან ერთად ასეთი დიდი აზრისა თავის თავზე.

საბედნიეროთ დედა მიწის მღილები ხანგრძლივ ვერა სცხოვრებენ. მეორეთ ვერ მოვასწრობ თვალის გადავლებას, რომ ძველთაგან თითქმის აღარავინ მხვდება. თუ არ ეს მათი ხანმოკლე სიცოცხლე და მასთან ერთად ომი, რომლის საშუალებითაც აღნიშნული მიკრობები სპობენ ერთმანეთს, მათი რიცხვი პირდაპირ უთვალავი და დედა-მიწისათვის საბედისწერო იქნებოდა.

ჩემი უკანასკნელი მგზავრობის დროს დედამიწაზე ფარული მზადება იყო დიდი, უჩვეულო ომისათვის. სხვა და სხვა ჯიში მიკრობებისა ენერგიულათ ემზადებოდენ მეზობელთა გასანადგურებლათ. ყველა ჯგუფს ამ პარაზიტებისას თავისი უფროსი ყავს. მას ისინი „მეფეს“ ეძახიან და ყველაფერს უჯერიან. ჩვეულებრივ დროს მეფეები და ერები ერთმანეთს ძმობა-ერთობას ეფიცებიან, მაგრამ მასთან ერთად დანიშნული ყავთ ცალკე მიკრობები, რომელთა მოვალეობას მეზობელ ერის მოტყუება შეადგენს. ამგვარ მოხელეებს დედა-მიწის პარაზიტები „დიპლომატებს“ ეძახიან. ყველა დიპლომატი მხოლოდ მშვიდობიანობასა და თანხმობით ცხოვრებაზე ლაპარაკობს, როცა მეზობელთან არის, მაგრამ მუდამ აქეზებს შინაურებს და ამზადებს მოულოდნელი თავდასხმისათვის.

ზოგიერთ ჯურის პარაზიტებს მეომარი მიკრობები ცალკე ყავთ გაწრთვნილი. უმთავრესი ხელობა მათი მაგვართა მათთა ჟლეტაა და ვინც ამ დარგში უკეთ დახელოვნდება რასაკვირველია გამარჯვების იმედიც მას უნდა ჰქონდეს. მეომარ მიკრობებს „ჯარს“ ეძახიან.

ჯარის ყოლა ზოგიერთ ტომს სავალდებულოთა აქვს დაწესებული, ხოლო ზოგან თავისი ნებით მიდიან და ეწერებიან მეომრებში. ვინც თავს ისახელებს ომში, ე. ი. ვინც მეტს მოჰკლავს და გაანადგურებს, მას გმირებსა და გენიოსებს ეძახიან. ასეთი გმირები ამ პარაზიტთა შორის წინეთაც იყვენ ცნობილი და ახლაც ბლომათ არიან.

ერთმანეთის ჟლეტის დაწყების წინ ამხედრებული ტომები ყოველთვის მოიმიზეზებენ ხოლმე რასმე. ამ მიზეზების მოგონება უმთავრესათ დიპლომატ მიკრობების საქმეა. უკეთესად მოგონილ მიზეზს და მის ჩახლართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც უფრო მატყუარა დიპლომატებსაც გენიოსებს უძახიან.

როდის გათესლდა დედა-მიწაზე ეს მავნე არსება კარგათ აღარ მახსოვს. პირველ ხანებში ისინი ასე საშიშარნი არ იყვენ და ალბათ ამიტომაც მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ცხადია დღესაც ეს პარაზიტები ღრღნიან ერთმანეთს და თვით დედა-მიწის გულსაც. ერთმანეთის მოსასპობათ მათ ათასგვარი საშუალებანი აქვთ და ალბათ ამით აიხსნება დედამიწის გარშემო აყენებული ბუღიცა და მყრალი სუნიც.“

მზე და სხვა დანარჩენი ციაგნი გულისყურით უსმენდენ კუდიან ვარსკლავ ჰალლეას მოხსენებას. დედა-მიწის ბედი მათ უფრო აწუხებდა და აღონებდა, ვიდრე თვით დედა-მიწის ზურგზე მოფუსფუსე პარაზიტებს, რომელნიც თავგამოდებით ჟლეტენ და მუსრავენ ერთმანეთს.

ეშმაკი.

სედრაკას ჩივილი.

ვა, ამ რევოლიუციამ სულ ამირია დავთრები, სავსემ ნიჩევო ნე პანიმაიუ! ტვინი აჯაფსანდალივითა მაქვს ათქვლეფილი და თვალები ცოფიანი ძაღლივით არეული! სადა ვარ თუ ვიცოდე, მაშ პირძაღლი ვიყო! ამ ქვეყნიერების სავსემ არაფერი არ მესმის რაღა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა! მინდა რომ გავიგო საქმის ვითარება, მაგრამ ამ ოხერ ბაშკაში არაფერი არ შადის. არა, ღვთის წინაშე არც ისეთი ტვინდაობებული ვარ, რომ თუმნათ ვიყიდო და ხუთ მანეთათ გავყიდო, მაგრამ ვსოჟე, მაინც არ გამეგებარა!

ქრისტიანო, ამ რევოლუციის ყველაფერი გავიგე, ყველაფრის ზნაჩენიას მივხვდი, ვოტ ნაპრიმერ: ვიცი რომ ჩვენი ბივში იეპერატორი ტახტი-

დან ჩამოაბძანეს, მინისტრები ვირის აბანოში მიაბძანეს, ის... ახალი ხემწიფობა რომ უნდოდა, ის...ვილაც კარნილოვია, ისიც ზარეშოტკაში მიაბძანეს. ეს ქართველმა ტერტერებმა რომ სლაბოდნობა იშოვეს და ერთი პირი ტყავის მაგივრად სლაბოდნათ შაუძლიანთ ხუთი ექვსი პირი გააძრონ ხალხს, ესეც ვიცი. ეს ჩვენი დედუშკა ხატისოვი რომ გოროწკოი გალაობიდგან გადადგა... ჰო... გადაღგა თუ გადააყენეს, ერთი სიტყვით მოსწყდა რაღა ქალაქს, ეს ამბავიც გავიგე და პაჩტი სუყველაფერიც, მაგრამ ამ კომისერის ზნაჩენიას სულ ვერ მივხვდი! ია პრემა უდივლაიუს, ეი ბოღუ! ან და საიდან მივხვდები, დიდსა და პატარას, ბრუნდსა დამართალს, ყველას კომისერს ეძახიან! კაცო, ახალმა მთავრობამ და ნასწავლმა ხალხმა უფრო პლანზე უნდა დააწყოს საქმე, თუ დომხალივით არიოს! კაცმა მართალი უნდა თქოს და ღვთისწინაშე ძველ პრავიტელსტვას უფრო პრავილაზე ჰქონდა დაწყობილი: გარადოვი, აკალოშნიკი, პრისტავი, ვეზდის ნაჩალიკი, ღრუბერნატარი, ნამესნიკი, ერთი სიტყვით რაღა, კაცი აზრში მოდიოდა და იგებდა, თუ ვინ რა იყო. ეხლა კი დომხალივითაა არეული. ვისაც შაჰხედავ, ყველა იძახის: „კომისერი ვარო“! კაცო უჩასტკაში მიველ, მითხრეს მეუჩასტკის კომისერი ვარო, გუბერნსკი კანცელარიაში მიველ-გუბერნწკი კომისერი ვარო, ფოშტაში მიველ, ფოშტის კომისერი ვარო, პოეზდში ჩავჯექი-იქაც პოეზდის კომისერი დამიხვდა, ტერტერასთან მიველ—იძახის მე დუხოვნი კომისერი ვარო, ჩვენ უსტაბაშთან მიველ, მეუბნება: მე მიკიტნების კომისერი ვარო, მეხაშესთან მიველ-მეხაშის კომისერი ვარო...

ვა, ვა, ვა, ვა, კაცო, ეს სადაური ახალთაობაა, სადაური განათლებაა, რომ კაცმა ღრუბერნატარი და მეხაშე ვეღარ გაარჩიოს!! ქრისტიანო, ნეუჟელი იმდენი სახელები ვეღარ მოვიგონეთ, რომ რაზნი-რაზნი სახელები დაუძახოთ ყველას! ცოდო არ არის, რომ ჩვენ ტიგრანა მენახშირეს ორი სახელი ერქვას და ჩვენ პრავიტელსტვას ხალხს კი ერთი სახელი საწიწკნათ გახდომოდეს! კაცო, ნეუჟელი კომისერის მეტი სახელი აღარ არის დუნიაზე! ამ ჩვენ ფუტურისტებს მაინცა ჰკითხონ, რომ მამენტალნათ გამოუგონონ რაზნი-რაზნი სახელები. მე შენ გითხრა, ენას ჭალი მოედებათ აი! თუ კი მზეს აორსულებენ, ნეუჟელი ამისთანა პუსტიაკი რამე გაუჭირდებათ! არ ვიცი, არ ვიცი ღმერთმანი! ან მე ვარ გლუპი და სულელი ანდა ეს ამოტელა ნასწავლი ხალხი აშიპკაში ვარდება. აშიპკაა კაცო, მაშ რა ჯანდაბაა. მეხაშეების უსტაბაშსაც კომისერი ერქვას და ღრუბერნატარსაც?!! ვა, რო დავფიქრდები ისე ამერევა ტვინი, რომ ღამის არის ვერხნი ატაჟიდან პეპელები გავაფრინო!

არა, ამ გაჯავრებულ გულზე ეს ჩემი დედაკაციც რომ უარესათ ცეცხლს მიკიდებს!!

კაცო, იმ დღეს მაზრიდან მოვდივარ და ეზოში რომ შამოველ, შავხედე ერთი ვილაცა უდღეო კავალერი აჰკვიატებია ამ ჩემს შუშანას და ერთი სიცილ-ხარხარი გააქვთ, რომ სულ იღებენ იქაურობას. დამინახა თუ არა ჩემმა დედაკაცმა, მომენტალნათ გაისწორა კაბები და ერთი ფრანციცულათ გამაცნო! „სედრაკ, ჩესტ იმეიუ პაზნაკომიტ, ეს ჩვენი დამწკი კომისერიაო.“

დამწკი კომისერიოოოოოოო!!!... იმისთანა პანღური უჭირე იმ დამწკი კომისერს, რომ ნახალოვქაში დავაკვრევინე ის მოგრეხილი ცხვირი.

გესმით, ხალხნო!!. დამწკი კომისერიო! ესღა მაკლია, რაღა რომ ჩემ დედაკაცს კომისროობდეს და მე ბუზებსა ვყლაპამდე! როგორ, მე ვისზე რა ნაკლები ბიჭი ვარ! თუ მეხაშე კომისერი იქნება, ნეუჟელი მე ჩემი დედაკაცის კომისერობას ვერ გავწყვ?!..

გოგია.

ხუმრობა

ა. პ. ჩეხოვი.

ზამთრის დღის მოწმეენდილი შუადღეა... სასტიკი ყინვაა... და ნადოს, რომელსაც ჩემს მკლავში აქვს მკლავი გაყრილი, რთვილით ევერცხლება თმის კულულები. ჩვენ ვდგევართ მაღალ გორაზე. ჩვენი ფეხებიდან დაწყებული ძირს, მიწამდის,-გაჭიმულია მობანდაკებული ფრიალო ყინულის ფერდოში, რომელშიაც მზე ისე იცქირება, როგორც სარკეში. ჩვენს ახლო ჩამწკრივებულია წითელი მაუდით გამოკრული პატარა მარხილები.

— ნადეჟდა, ჩავსრიალდეთ ძირში!-ვემუდარები მე მას—მხოლოდ ერთხელ! და გარწმუნებთ, ჩვენ ისევ ისე საღი-საღმსალათი დავრჩებით, როგორც ეხლა ვართ.

მაგრამ ნადოს ეშინია. მთელი ადგილი, მისი პაწაწა კალოშებიდან დაწყებული ყინულის გორის ძირამდის, მას ეჩვენება რაღაც საშინელ, განუსაზღვრელ ღრმა უფსკრულად. მას გული უსკდება და სულთქმა ეხშობა ძირში ერთის გადახედვითაც კი როცა მე მხოლოდ ვურჩევ მარხილში ჩაჯდომას, მაგრამ რა იქნება მაშინ, როცა გაბედავს ჩაჯდეს და გაქროლდება უფსკრულისაკენ! ის მოკვდება, ჭკუაზე შეცდება.

— გეევედრებით !-ვეუბნები მე-ნუ გეშინიათ! გაიგეთ, რომ ეს სულმოკლეობაა, სიმხდალეა!

ბოლოს, როგორც არის, ნადო მითმობს, მაგრამ მე აშკარად ვატყობ სახეზე, რომ მითმობს აუწერელი შიშით, რომ ეს დათმობა მას უღირს მთელ სიცოცხლედ, ფერმკრთალს და მოცახცახეს ვაჯდენ მე მას მარხილში, შემოვხოვ ხელს და მასთანერთად მოვწყდები უფსკრულისაკენ. მარხილი მიქრის, როგორც ტყვია, მისგან განაკვეთი ჰაერი გვცემს სახეში, ღმუის, გვისტვენს ყურში, გვგლეჯს, სიბრაზისაგან სატკენათ გვპწკენს, სურს მხრებიდან თავი მოგვაგლიჯოს. მონაწოლ ჰაერისაგან სულთქმა გვიძნელდება. გველანდება თითქოს თვით ბელზებელმა ჩაგვკიდა თავისი თათები და ღმუილით მიგვათრევს ჯოჯოხეთში.

გარემო საგნები ერთ დება ერთ დიდ ელვის სისწრაფით მსრბოლავ ზოლად... აი კიდევ ერთი თვალის დახამხამება და ჩვენ გვგონია—დავიღუპებით!

— მე თქვენ მიყვარხართ, ნადო!-ვეუბნები მე ნელის ხმით.

მარხილის სრბილის სისწრაფე თანდათან კლებულობს,-ნელდება, ქარის ღმუილი და მარხილის ფერსოთა ჟრიალი ისე აღარ გვაშინებს, სულთქმა აღარ გვიძნელდება... და ბოლოს ჩვენ ძირში ვართ. ნადო არც მკვდარია არც ცოცხალია. ის ფერმკრთალია და სულს ძლივსღა ითქვამს... მე ვეხმარები მას წამოდგომაზე.

— არაფრის გულისთვის მე მეორეჯერ არ წამოვალ!-ამბობს ის და თან შემყურებს დიდროანი და საშიშროებით სავსე თვალებით.

— არაფრის გულისთვის ქვეყანაზე! მე კინალამ მოვკვდი!

პატარა ხანს შემდეგ ის მშვიდდება, გონზე მოდის და ეხლა უკვე კითხვითი გამომეტყველებით ჩამყურებს თვალებში, მას სურს გაიგოს: მე წარმოვსთქვი ის ოთხი სიტყვა თუ ისე, უბრალოდ მოესმა ეარის გრიალში? მე კი ვდგევარ მის ახლო, ვსწევ თამბაქოს და გულმოდგინეთ ვსინჯავ ჩემს ხელთათმანებს.

ბოლოს ის ჩამკიდებს ხელს და ორთავენი დიდხანს ვსეირნობთ გორის ახლო.

როგორც სჩანს, ამოცანა ნადოს მოსვენებას არ აძლევს. იყო წარმოთქმული ის სიტყვები თუ არა? იყო თუ არა? იყო თუ არა! ეს საკითხია, საკითხი თავმოყვარეობის, დიდების, სიცოცხლის ბედნიერების; საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და თითქმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეყანაზე. ნადო მოუთმენლად, ნაღვლიანად და გამსჭვრეტავ შეხედვით შემკქერის სახეზე, ბუნდოვანად მაძლევს პასუხს, მიცდის,-დაველაპარაკები თუ არა „იმ საგანზე.“ ო, როგორი თამაშია მის მშვენიერ სახეზე, როგორი თამაში! მე ვხედავ თუ როგორ ებრძვის ის თავის თავს, მას სურს რაღაც სთქვას, რაღაც დამეკითხოს, მაგრამ ვერ პოულობს სიტყვებს, მას ესირცხვება, ეშინია, უშლის სიხარული.

— იცი რა?-თავდახრით ამბობს ის.

— რა?-ვეკითხები მე.

— მოდი-ერთხელ კიდევ... გადმოვსრიალდეთ.

ჩვენ ავდივართ კიბით გორაზე. კვლავ ვაჯდებ ფერმკრთალ და მოცახცახე ნადოს მარხილში, კვლავ მივქრით საშინელ უფსკრულში, კვლავ ღმუის ქარი და ჟრიალებს ფერსოები... და კვლავ, მარხილის უსწრაფეს და ხმიან გაქროლების დროს, ნელის ხმით ჩავსჩურჩულებ მას.

— მე თქვენ მიყვარხართ, ნადო!

როცა მარხილი ჩერდება, ნადო თვალს ააყოლებს გორაკს, რომლიდანაც ჩვენ სწორედ ეხლა მოვსრიალდებით, შემდეგ დიდხანს აცქერდება ჩემს სახეს, ყურს უგდებს ჩემს გულ-გრილ, უენებო ხმას და მთელი მისი არსება, წარმოიდგინეთ მისი მუფტა და ჩაბალახიც, მთელი მისი ფიგურა,-გამოხატავს უმწვერვალეს გაუგებრობას და მის სახეზე კი გარკვევით იწერება:

— რაშია საქმე? ვინ წარმოსთქვა ის სიტყვები? მან, თუ მე ისე მომეყურა?

ამის უცოდინარობა აწუხებს მას, გამოჰყავს მოთმინებიდან. საბრალო ბავშვი! კითხვაზე პასუხს აღარ იძლევა, იპოპრება, მზათ არის იტირის.

— არ წავიდეთ აწი სახლში? ვეკითხები მე.

— მე კი... მე მომწონს ეს მარხილით სრიალი,- სიწითლით ამბობს ის, მოდი ერთხელ კიდევ გადმოვსრიალდეთ!

მას „მოსწონს“ მარხილით სრიალი, და ამავე დროს, როცა ჯდება მარხილში, ის წინანდურად ფერმკრთალია, შიშისაგან ძლივს სუნთქავს... თრთის, ცახცახებს.

ჩვენ მივქრით მესამეჯერ... და მე ვხედავ, თუ როგორ მიცქერს ნადო სახეზე, თვალ ყურს ადევნებს ჩემს ბაგეთა მოძრავობას.

მაგრამ მე პირზე ცხვირსახოცს ვიფარებ, ვახველებ და როდესაც ვაღწევთ გორაკის შუაგულს, ვასწრებ შეუმჩნევლად წარმოთქმას:

— მე თქვენ მიყვარხართ, ნადო!

— და ამოცანა რჩება ამოცანად! ნადო სდუმს, რაღაცაზე ფიქრობს..,

მე ვაცილებ მას სახლამდის, ის კი ცდილობს ნელა იაროს. ანელებს ნაბიჯებს, ფეხს ითრევს და სულ მიცდის,-ვეტყვი თუ არა ამას „იმ“ სიტყვებს.

მე ვხედავ, როგორ იტანჯება მისი სული, როგორ ატანს თავს ძალას, რომ არ წამოცდეს:

— ყოვლად შეუძლებელია, რომ ის სიტყვები არ ეთქვას!

და არც მე მსურს,-იმ სიტყვებს ქარი ამბობდეს!

მეორე დღეს, დილით, მე ვღებულობ წერილს: თუ ვინიცობაა დღეს წახვიდეთ მარხილით სასრიალოთ, მეც გამომიარეთ. ნ" და ამ დღის შემდეგ მე ყოველ დღე დავდივარ ნადოსთან ერთად გორაზე, სასრიალოთ, და ყოველთვინ ძირში ქროლვის დროს მე ჩაგსჩურჩულებ მას ნელის ხმით ერთ და იმავე სიტყვებს:

— მე თქვენ მიყვარხართ, ნადო!

მალე ნადო ეჩვევა ამ ფრაზას, როგორც ღვინოს ან და მორფს.

მას უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. მართალია გორიდან ქროლვა მას წინანდურად აშინებს, მაგრამ ეხლა შიში და საშიშროება რაღაც განსაკუთრებულ მოჯადოებულ თვისებას აძლევს სიყვარულის სიტყვებს, რომელნიც წინანდურად ამოცანად რჩება მისთვის და სულსა და გულს უწუხებს, რჩება ისევ ორეოფი იქვი: მე ვარ თუ ქარი?.. ამ ორში რომელი უხსნის სიყვარულსი მან არ იცის, მაგრამ, როგორც სჩანს, მისთვის ეხლა სულ ერთია; სულერთია რომელ ჭურჭლიდან არ დალიოს სათრობი სასმელი-ოღონდ კი დაითროს.

როგორღაც ერთხელ მარტო მივდივარ ყინულის გორაზე. ვერევი ხალხში. ვიხედები ძირს და ვხედავ, როგორ უახლოვდება გორას ნადო, როგორ მეძებს მე თვალებით... შემდეგ ის შიშით და თრთოლვით ამოდის კიბით ზევით... ეშინია მარტოს მარხილში ჩაჯდომა და მერე როგორ ეშინია! ის ფერმკრთალია და თეთრი, როგორც თოვლი, თრთის, ცახცახებს, ის მიდის თითქოს საწამებლად, მაგრამ მაინც მიდის, მიდის უკან მოუხედველად, გადაწყვეტით. როგორც სჩანს, მან განიძრახა გამოეცადა: გაიგონებდა იმ საკვირველ და ტკბილ სიტყვებს, როცა მე არ ვიქნებოდი, თუ არა? მე ვხედავ, როგორ ფერმკრთალი და შიშისგან დაღებული პირით ჯდება ის მარხილში, ხუჭავს თვალებს, ემშვიდობება სამუდამოდ დედა-მიწას და მოწყდება ადგილიდან ჟუჟრრრ. . ჟრიალებს მარხილი. ესმის ნადოს ის სიტყვები თუ,-მე არ ვიცი... მე მხოლოდ ვხედავ, როგორ დგება ის მარხილიდან დაქანცული და დასუსტებული. სახეზე კი აშკარად ეტყობა, რომ თვით მან არ იცის გაიგონა თუ არა „ის" სიტყვები. შიშმა, სანამ ის ძირში მიქროდა, წაართვა გრძნობა მსმენელობის, ხმათა გარჩევის და გაგების.

მაგრამ აი დგება გაზაფხულის თვე—მარტი... მზე იწყებს კაშკაშს და ცალს. ჩვენი ყინულის გორა შავდება, კარგავს თავის ბრწყინვალებას და ბოლოს სრულიად დნება. ჩვენ ვეთხოვით სრიალს. საბრალო ნადო, აწი ვეღარსად მოისმენს იმ ტკბილ და მომხიბვლელ სიტყვებს... და არც არავის შეუძლია აწი ის წარმოსთქვას, რადგან ქარი არ ქროლავს და მეც დიდი ხნით, შეიძლება სამუდამოთაც, პეტროგრადში წასასვლელად ვემზადები.

როგორღაც ჩემი წასვლის ორი დღით წინ, საღამოს პირად, მე ვზივარ ბაღში. ბაღს გვერდზე აკრავს ეზო და სახლი, რომელშიაც სცხოვრობს ნადო. ბაღს და ეზოს ყოფს მაღალი ფიცრული ლურსმებიანი ღობე... ჯერ კიდევ საკმაოდ ცივა. აგერ-აგერ ნაკელის ქვები თოვლიც მოსჩანს. ხეები გაძარცულია და უსიცოცხლო, მაგრამ ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს და დასაძინებლად გამზადებულნი ყორნები ხმიანად გაჰკივიან. მე მივდივარ ღობესთან და დიდხანს ვიქვრიტები ჭუჭრუტანაში. მე ვხედავ, როგორ გამოდის აივანზე ნადო და როგორ მწუხარე ნაღვლიანი თვალებით მიაცქერდება ზეცას... გაზაფხულის სიო მხიარულად უქროლავს მას ფერმკრთალ და ნაღვლიან სახეში.. ეს სიო მას აგონებს იმ საშინელ ქარს, რომელიც გაშმაგებული დაგვლმუოდა თავზე გორიდან ქროლვის დროს და როცა ის ისმენდა იმ საკვირველ „ოთხ სიტყვას." ეს მოგონება მის სახეს კიდე უფრო ანაღვლიანებს, ასევდიანებს, ვეღარ ითმენს და მის ღაწვებზე მოგორავს ცრემლი... აქ საბრალო ბავშვი შლის ორთავე ხელებს, თითქოს ევედრება სიოს, რომ მან ერთხელ კიდევ მოუტანოს და ასმინოს ის სიტყვები. მე ვუცდი სიოს და როცა ის ჩემგან შეტრიალდება და ნადოსკენ იწვებს ქროლვას, ნელის ხმით წარმოვსთქვამ:

— მე თქვენ მიყვარხართ, ნადო!

ღმერთო ჩემო, რა ემართება ნადოს! ის აუწერელი აღფრთოვნებით შეჰკივლებს, მთელი სახით იღიმება და მხიარული ბედნიერი,-წარმტაცად ლამაზი გაშლილი ხელებით ეგებება სიოს.

მე კი მივდვარ სამგზავროდ მოსახაზირებლად.

ეს, დიდიხანია მას შემდეგ, რაც მოხდა. ეხლა ნადო ქმრმიანია; თავის სურვილით გაჰყვა თუ ძალით გაათხოვეს,-ეს სულ ერთია. ის უკვე სამი შვილის დედაა. მაგრამ ის, რომ ჩვენ ერთად დავდიოდით გორაზე სასრიალოდ და სიტყვები:„ მე თქვენ მყვარხართ, ნადო!" რომელიც ქარს მოჰქონდა მის სმენამდის,-ჯერაც არ არის დავიწყებული. ეს მისთვის ეხლა ყველაზე უფრო ბედნიერი, ყველაზე უფრო მგრძნობიარე და ულამაზესი მოგონებაა მისი ცხოვრებიდან.

ჩემთვის კი ეხლა, როცა უფრო დიდი შევიქენი, სრულიად გაუგებარია რად ვამბობდი იმ სიტყვებს, რისთვის ვხუმრობდი.

პოდბიპენტა

საბჭოელები და კომისარიატები მარტში

ერთხელ, ტკბილ მუხაიფის დროს ეშმაკმა უთხრა გრიშასა:

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის

საბჭოელები და კომისარიატები ოქტომბერში.



ძველი მოატანს ქვიშასა.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. ბუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.